

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №284
2024 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში (სსმ, №172, 31.12.2010, 200230040.22.033.016103) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №5):

1. პირველი მუხლის მე-6 პუნქტის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მე-19 სტრიქონში – საშემოსავლო გადასახადი დასაბეგრ შემოსავალზე, რომელიც მიიღება მე-17 და მე-18 სტრიქონებს შორის სხვაობის თანხის საშემოსავლო გადასახადის მე-16 სტრიქონში მითითებულ განაკვეთზე გამრავლებით (მათ შორის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი);“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები:

„ვ) მე-20 სტრიქონში აისახება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მოიცავს ფიზიკური პირის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადს;

ზ) 20¹ სტრიქონში აისახება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მოიცავს ფიზიკური პირის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადს.“.

2. დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

